# არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც დროს გაუსწრო



თქვენი აზრით, რამდენი ასეთი ჩანაწერი ინახება „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ე. წ. „შთაბეჭდილებათა წიგნებში“ – 300, 500, 900?.. რეალურ პასუხის მისაღებად, ალბათ, დიდი შეცდომა არ მოგივათ, თუ ბოლო რიცხვს ნულს მიაწერთ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რა უნდა ვთქვა და რა უნდა დავწერო მას შემდეგ, როცა ხსენებული „შთაბეჭდილებების წიგნების“ ერთ-ერთი ტომიდან თანამედროვე ქართული მწერლობის კლასიკოსის, აწ განსვენებული, ბატონი ოტია იოსელიანის იშვიათმა ჩანაწერმა, სავსებით ლოგიკურად, მთავრული შრიფტითა და ასეთივე განწყობით, „ვორდის“ იმ ფაილში გადმოინაცვლა, რომელშიც ამ წერილს ვაწყობდი?!

საბედნიეროდ, ჩემს რესპოდენტს, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ **მარინა თოფურიას** არა მხოლოდ თავისი ორგანიზაციის სამოქმედო არეალში მყოფი ადამიანების დახმარება ხელეწიფება, არამედ ასეთ სიტუაციაში ჩავარდნილი ჟურნალისტებისაც.

მოკლედ, როგორც მან მითხრა, როცა 22 წლის წინათ ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს, სრულიად ახალგაზრდები იყვნენ და სახელიც ახალგაზრდული დაირქვეს. მერე მოვლენები საინტერესოდ განვითარდა, საქმიანობის სფეროები გაფართოვდა, წლებიც შეემატათ, მაგრამ სახელწოდებას ახალგაზრდულს ინარჩუნებენ.

დღეს უკვე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ დროს გაუსწრეს, რადგან სწორედ დრომ დაადასტურა მათი პოზიციის სისწორე:

**„წლების განმავლობაში მრავალი საინტერესო იდეა განვახორციელეთ, ბევრი სიახლე დავნერგეთ, კერძოდ: მოზარდებისათვის სამოქალაქო ღირებულებების გაცნობის ჩვენეული კონცეფცია შევქმენით; მიუსაფარი ბავშვებისათვის საოჯახო**

მე რამდენადაც თვალი მიმიწვდენია, მხოლოდ აქ მეგულვება ჩვენს მომავალზე ზრუნვის და აღზრდის სწორ გზაზე დგომა. ეს გზა გამართლებულად მიმაჩნია და ერთადერთი შემთხვევაა, რომ შინ დამშვიდებული ვბრუნდები. .დაუჯერებელია, მაგრამ საბედნიეროდ ასეა.

წარმატება მისურვებია და გულხელდაკრეფილი ცქერას არ ვაპირებ. მიგულვეთ თქვენს თანამდგომად და ხელის შემწყობად.

მადლობით.

ოტია იოსელიანი.

ოზურგეთი. 16. 05. 2004წ.

**ტიპის სახლის სერვისი და ინკლუზიური განათლების პრინციპები პირველად ჩვენ დავნერგეთ გურიაში; საჯარო სკოლების განვითარების სტრატეგიის კონცეფციის შემუშავებასა და მისი პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთი პირველი ინიციატორებიც ჩვენ ვიყავით. რამდენიმე ზემოხსენებული იდეა გურიის რეგიონის საზღვრებსაც გასცდა, დროთა განმავლობაში ამ კუთხით სახელმწიფო პოლიტიკაც შეიცვალა და ჩვენსას დაემთხვა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დროს გავუსწარით, რადგან სწორედ დრომ დაადასტურა ჩვენი პოზიციის სისწორე“.**

ორგანიზაცია მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

▶▶▶ გვ-5

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10299) 4 თებერვალი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

# საპროტესტო აქცია მელექედურში



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი მათი სოფლის ტერიტორიაზე გამავალ მდინარე ნატანებიდან ქვიშა-ღორღის მოპოვებას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეებმა კარიერიდან მიმავალ თვითმცვლელ ავტომანქანებს გზა გადაუკეტეს და კარიერის მუშაობის შეჩერებას ითხოვდნენ .ამბობდნენ, რომ ნადგურდება გზები, მინდვრები საძოვრები და ზოგადად ბუნება. საფრთხე ექნება ადგილობრივ მოსახლეობას., განსაკუთრებით ბავშვებს.

ადგილზე იმყოფებოდნენ, როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელები, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან კილაძე, ასევე ინერტული მასალის მომპოვებელი კომპანიის „ნიუ როადის“ წარმომადგენლები.

*–ხელისუფლების პოზიციაა გვერდით დაუდგეს ამ სოფლის მაცხოვრებლებს. ეს ადამიანები ითხოვენ, რომ მათი კუთვნილი ტერიტორიები და უსაფრთხოება იყოს დაცული. ჩამოვედით ადგილზე, რომ შევისწავლოთ პრობლემა. მივ-მართავთ კომპეტენტურ უწყებებს. გაირკვევა სამუშაოების კანონიერება. ვფიქრობ, რომ ხალხთან კონსულტაციის გარეშე მსგავსი ნებართვები არ უნდა გაიცეს,* – აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა. **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

# განათლების რეფორმის კვალდაკვალ

## ბატიაშვილის დაანონსებული სიახლეების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მარი კოძოევი

განათლების სამინისტრომ რეფორმის ფარგლებში მთელი რიგი ცვლილებები დაანონსა. მართალია, სიახლეები ჯერ არ დამტკიცებულა და მხოლოდ პროექტის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ რამდენიმე საკითხმა განსაკუთრებული აჟიოტაჟი უკვე გამოიწვია. კერძოდ: 2020 წლისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ჩაბარება სავალდებულო აღარ იქნება და უნივერსიტეტებს ექნებათ უფლება, დაამატონ ის არჩევით გამოცდად. ასევე 2020 წლისთვის სრულად გაუქმდება გამოსაშვები გამოცდები და მოსწავლეები ატესტატს სკოლაში აკადემიური მოსწრების საფუძველზე აიღებენ. ამასთან ცვლილებებია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაშიც. როცა მასწავლებელს მიენიჭება სტატუსი, შემდგომ მისი ჩამოქვეითება აღარ იქნება შესაძლებელი (მოქმედი წესით თუ მასწავლებელი საკმარის კრედიტქულებს ვერ დააგროვებდა, მიღებულ სტატუსს კარგავდა). ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობენ აღნიშნულ საკითხებზე ოზურგეთელი პედაგოგები და დარგის სპეციალისტები.

რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო საატესტატო გამოცდების გაუქმება?

**მაია თავართქილაძე** (*პირველი საჯარო სკოლის დირექტორი*): – საატესტატო გამოცდების გაუქმებამ ბავშვების, მშობლების სიხარული გამოიწვია, რადგან ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ისინი რეპეტიტორის ინსტიტუტის აუცილებლობას ხედავდნენ საატესტატო გამოცდის შემთხვევაშიც. ჩემი აზრით, რაღაც სასიკეთოც ჰქონდა ამ გამოცდებს. მოსწავლეების მიერ ხდებოდა მთელი წლის ნასწავლის მობილიზება. ჩვენი ბავშვები არიან ორიენტირებული კონკრეტულად იმ საგნებზე, რაც ჭირდებათ ეროვნულ გამოცდებზე, მარტო იმ ოთხ საგანზე და ზოგადი განათლება, მე ვფიქრობ, არ აწყენს არავის. ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის სწავლა ზედმეტი ნამდვილად არ არის. ზოგადი განათლება ნორმალურ, განათ-ლებულ ადამიანს სჭირდება. მაგრამ, თუ იმაზე გავაკეთებთ აქცენტს, რომ რეპეტიტორის ინსტიტუტის განვითარებას უწყობდა ხელს და მშობლებისთვის ფინანსურ პრობლემებს ქმნიდა, რა თქმა უნდა, ამ კუთხით, დადებითი გადაწყვეტილებაა.



ამდენად ამ საკითხს ახლავს ბევრი კითხვის ნიშანი.

აუცილებელია კანონმდებლობაში ჩაიდოს რაღაც ისეთი, რომ უზრუნველვყოთ ბავშვების მაქსიმალური გამოცხადების კო-ნტროლი სკოლაში და შედეგი რაღაცნაირად უნდა გამოისახოს ნიშანში. ვიცით, რაც იყო რეალურად. ჩემს სკოლას არ ვგულისხმობ, მაგრამ ზოგადად ქვეყანაში არის გამოცხადების პრობლემა, რეპეტიტორთან მი-ჯაჭვა. ამბობენ, მე მაინც ცა-ლკე ვემზადები და მაინც მექნება ცოდნა, მაინც გადავლახავ ბარიერს. რაღაც მექანიზმი უნ-და იყოს, რომ ატესტატი მთლად ისე არ დავურიგოთ ბავშვებს, როგორც წლების წინ იყო. რაღაცნაირად უნდა ხდებოდეს ცოდნის შემოწმება. მაგალითად, შიდასასკოლო გამოცდებით. ას-ეთი გამოცდები ჩვენ აქამდეც გვქონდა. სკოლის შინაგანაწე-სში, სასკოლო სასწავლო გე-გმაში ჩადებული გვაქვს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, ამით გამოცდილებას იძენდა ბავშვი საატესტატო გამოცდებისთვის. ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ამის გამო არავის ვტოვებთ კლასში. თუ ვერ მიიღებს დამაკმაყოფი-ლებელ ქულას, მივცემთ რაღაც ვადას, მოემზადება და მოვა. ანუ მიზანი ამ გამოცდების არის ის, რომ მთელი წლის ნასწავლი მასალა გაიმეოროს და კიდევ ერთხელ გონებაში მობილიზება გაუკეთოს, ამაში ვფიქრობ, ცუდი არაფერია. ეს, რა თქმა უნდა, სკოლის როლის გაძლიერებას უწყობს ხელს. ბავშვს ექნება ვალდებულება იაროს სკოლაში და მიიღოს ცოდნა.



**მზია მეხუზლა** (*პედაგოგი, „პედაგოგთა კავშირის“ საგანმანათლებლო ექსპერტი*): –როცა პირველად დაიწყეს კატის გამოცდები რამოდენიმე წელი ძალიან ობიქტურად ტარდებოდა და რაღაცა მნიშვნელობა ამ გამოცდებს ქონდა. შემდეგ, გარკვეული წლები ხდებოდა დახმარება, ადვილად გადიოდნენ ბავშვები. გამოცდას აბარებდნენ ის ბავშვები რომლებიც ნაკლებად სწავლობდნენ და ამან ცოტა ფასი დაუკარგა. მაგალითად, 9 ქულას იღებდა მოსწავლე, რომელიც კარგად სწავლობდა და იგივე ქულას, მეგობრების დახმარებით, იღებდა ბავშვი, რომელიც ნაკლებად ან საერთოდ არ სწავლობდა. ამიტომაც საატესტატო გამოცდის წარმატებით ჩატარების მოტივაცია დაიკარგა. ჩვენც, მას-წავლებლებიც უკვე ისე აღარ ვაფასებდით, როგორც პირველ ორ წელიწადს, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ გამოც-

▶▶▶ გვ-3

## გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060



რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# გომისმთის განაშენიანების გენერალური გეგმა – ბოლო წლებში შემუშავებული და მიღებული ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტი



გომისმთის განაშენიანების გენერალური გეგმა ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო წლებში შემუშავებული და მიღებული დოკუმენტებიდან, – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ,** რომელიც „ალიონის" დღევანდელი ნომრის სტუმარია.

**– ბატონო გიორგი, მაგიდაზე საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი გიდევთ. თუ შეგიძლიათ, მოკლედ გვითხრათ, რას წარმოადგენს ეს გეგმა?**

– შევეცდები. დავიწყოთ იმით, რომ გომისმთა არ შედიოდა არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, ისე იყო მუნიციპალიტეტის საზღვრებში. შესაბამისად, საკრებულომ, შემოქმედის მოსახლეობისგან კონსულტაციის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ გომისმთა შევიდეს შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში. ეს განპირობებულია იმით, რომ ჩვენ შევიმუშავეთ კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომელიც მოაწესრიგებს ტერიტორიის გამოყენებას, მშენებლობას, ინფრასტრუქტურის მოწყობას, მთლიანად მისი პოტენციალის ათვისებას. შესაბამისად, კანონი განსაზღვრავს, რომ განაშენიანების გეგმა უნდა შედგეს დასახელებული ტერიტორ-იისათვის, დასახლებულ ტერიტორიად კი განიხილება დაბა ან სოფელი. გომისმთას ეს სტატუსი არ გააჩნდა და ამ კუთხით წავიყვანეთ ჩვენი მუშაობა, რომ სამომავლოდ შევძლოთ კურორტის განვითარება.

**– გომისმთას რომ მუდმივი მოსახლეობა არ ჰყავს, ეს არ ქმნის ბარიერს?**

– ბარიერს მხოლოდ ეს ერთი ფაქტორი არ ქმნის. მოსახლეობა რომ იყოს რეგისტრირებული, უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული ქონება, შესაბამისად რეგისტრირებული ქონება რომ გააჩნდეს, ტერიტორია უნდა იყოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის, ან სხვა რაიმე სტატუსის მქონე. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა აწყობილი, ანუ მოსახლეობა რეგისტრირებული იმიტომ არაა, რომ ქონება ვერ არის რეგისტრირებული, ქონებას კი ვერ ვარეგისტრირებთ იმიტომ, რომ ამ წუთში ტერიტორიას არ აქვს შესაბამისი დოკუმენტები, ჯერჯერობით სტატუსი არ აქვს განსაზღვრული. ამიტომ, გადავწყვიტეთ, გომისმთა ჯერ გაერთიანდეს ადმინისტრაციულ ერთეულში, შემდეგ, განვითარების მომდევნო ეტაპებზე, შეიძლება იმაზე მსჯელობა, რომ ცალკე ტერიტორიულ ერთეულად გამოიყოს, ცალკე დასახლებად შეიქმნას ჰყავდეს თავისი მუდმივი მოსახლეობა და ჰქონდეს ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც უნდა გააჩნდეს დასახლებულ ტერიტორიას.

**– ე. ი. გათვლილია, რომ პერსპექტივაში გომისმთას ეყოლება მუდმივი მოსახლეობა?**

– კი, როგორ არა. რა თქმა უნდა, მაგაზე ვიმუშავებთ,

**– უფრო, ალბათ, ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ.**

– დასახლებული ტერიტორიის სტატუსი რომ მიენიჭოს, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: პირველ რიგში, არანაკლებ ხუთი რეგისტრირებული მუდმივი მოსახლე უნდა იყოს იქ. მათი ინიციატივით შეიძლება განხორციელდეს ეს ყველაფერი; ასევე, რომელ სტატუსს მივანიჭებთ – დაბისას თუ სოფლისას, ეს არის დამოკიდებული იმაზე, სამომავლოდ რა პოტენციალი გააჩნია ტერიტორიას, ტურისტული იქნება ეს თუ ეკონომიკური. უკვე აქედან გამომდინარე, მოხდება მისი სტატუსიის შერჩევა და მინიჭება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მუნიციპალიტეტის ინიციტივით ხდება, საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მთავრობის მიერ. ამიტომ ჩვენ ეს ინიციატივა წარვადგინეთ საქართველოს მთავრობაში. იცით, ალბათ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ბახმაროს მიენიჭა დასახლებული ტერიტორიის სტატუსი, დაბის სტატუსი. ამ პროცედურას გავდივართ ჩვენ ახლა, უბრალოდ, რეკრეაციულ ზონად არ არის გამოცხადებული გომისმთა. ის საკურორტო ზონაა საქართველოს მიერ დამტკიცებული დადგენილებით და მას აქვს შემდგომი განვითარების სერიოზული პოტენციალი. ზუსტად ამას ემსახურება განაშენიანების გეგმა, მისი შემუშავება-დამტკიცების პროცესი, როგორ უნდა განვითარეს, ასე ვთქვათ, მაქსიმალურად კარგად. ამ გეგმაში გრძელვადიანი ხედვაა ამ ტერიტორიის გამოყენებისა, რათა მაქსიმალურად კომფორტული იყოს ის დამსვენებლ-ებისათვის, ტურისტებისათვის. იცით თქვენ, იქ მომთაბარე მეცხოველეობასაც ეწევიან. რასაკვირველია, აქვე სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებასაც შეეხება შემუშავებული გეგმა. ძალიან კომპლექსური და ძალიან ვრცელი, დეტალური გეგმაა. რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო წლებში შემუშავებული და მიღებული დოკუმენტებიდან.

**– და, რამდენ ხანში დამტკიცდება ეს ყველაფერი?**

– ეს მოკლე პროცედურა – სტატუსის მინიჭება, როგორც კი დამთავრდება, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, იურიდიულ საფუძველზე დაყრდნობით, დავამტკიცოთ ეს გეგმა. თვითონ გეგმა მომზადებულია. ვაპირებთ ამ გეგმის მოსახლეობისა-თვის სრულყოფილად გაცნობას, მოსახ-ლეობის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვა-ლისწინებას და საჯარო პრეზენტაციას. ამის შემდეგ უკვე სრულყოფილ დოკუმენტს დავამტკიცებთ საკრებულოს სხდომაზე.

**– ვინ მუშაობდა კურორტ გომისმთის განაშენიანების გეგმაზე?**

– მუნიციპალიტეტმა ამ საკითხზე ტენდერი გამოაცხადა 2017 წლის ზაფხულში, რომელშიც გაიმარჯვა კომპანია „არტ-სტუდიო პროჯერტმა" და „არტ-სტუდიო პროჯერტის" მიერ მიერ იქნა შემუშავებული ეს გეგმა. სხვათა შორის, ამ კომპანიას აქვს ნამუშევარი ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე.

გომისმთის განაშენიანების გეგმაზე მუშაობა თითქმის ერთი წლის განმა-ვლობაში მიმდინარეობდა და უკვე მივიღეთ სრულყოფილი დოკუმენტი. შესაბამისად არსებობს წინაპირობა იმისა, რომ დამტკიცდეს ეს გეგმა და კურორტს ჰქონდეს ნორმალური განვითარების შესაძლებლობა.

ესაუბრა
**თემურ მარშანიშვილი**

# დაბა ლაითურში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის საცხოვრებელი კორპუსი შენდება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** დაბა ლაითურში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაბის მაჟორიტარ დეპუტატთან **გია ჩაგანავასთან** ერთად დაათვალიერა.

დაბაში ხანძრისგან დაზარალებულებისთვის ორსართულიანი კორპუსი შენდება.

სახლი გასულ წელს დაიწვა, რის გამოც 5 ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

აშენდა ახალი ორსართულიანი შენობა, რომელიც მაღალი ხარისხის თუნუქის სახურავით გადაიხურა.

მშენებლობისთვის საჭირო თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

სამუშაოების ჯამური ღირებულება 189 920 ლარს შეადგენს.

# ბათუმის მერია ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ძველ ავტობუსებს აჩუქებს



ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებული 3 ავტობუსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცემა.

ძველი ყვითელი ავტობუსების მეზობელი მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის გადაწყვეტილება ავტოპარკის განახლების პროცესში მიიღეს.

ამის შესახებ ინიციატივა დღეს საკრებულოს სხდომაზე გახმოვანდა. საკითხს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

ბათუმის მერია ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ძველ ავტობუსებს უსასყიდლოდ გადასცემს.

**ტვ. 25**

# ხანძარი წვერმაღალაში



დაბა ურეკში, წვერმაღალას დასახლებაში, სამეურნეო ფართობებთან ხანძარი გაჩნდა.

დამწვარია ასწლოვანი ხეები და ბამბუკები.

სახანძრო-სამაშველო სამსახურების დროული რეაგირების შედეგად ხანძარი ლიკვიდირებულია.

ცეცხლი დაახლოებით 1 000 კვ.მ. ფართობს ეკიდა.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

# ეკალდიდს წელს ახალი სკოლა და გზა ექნება

ეკალდიდში მიმიდნარე წელს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები დაიწყება.

დაიგება 6 კილომეტრი სიგრძის არმირებული რკინა-ბეტონის გზა. ეს არის გარდამავალი პროექტი, რომელიც ნატანები-ეკალდიდი-ურეკის დამაკავშირებელი საგზაო მონაკვეთის კაპიტალურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** ადგილზე გზის დამპროექტებლებთან, კომპანია „**New Road Project**"- ის წარმოამდგენლებთან და შრომის მაჟორიტარ დეპუტატთან - **დავით ჭაკნელიძესთან** ერთად იმყოფებოდა.



გარდა ამისა, ეკალდიდში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ახალი, თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლა აშენდება.

# განათლების რეფორმის კვალდაკვალ

## ბატიაშვილის დაანონსებული სიახლეების დადებითი და უარყოფითი მხარეები

დაზე მიღებული ცხრიანები და ათიანები. მოუმზადებელ ბავშვსაც თავისუფლად შეეძლო 7-8 ქულა მიეღო. თავისი ფუნქცია 2-3 წელიწადში ამოწურა ამ გამოცდებმა. მეორეს მხრივ, **ჩვენ, მასწავლებლებს მოლოდინი გვქონდა, რომ მოსწავლეები უფრო მეტად დაესწრებოდნენ იმ საგნების გაკვეთილებს, რომლებსაც მოსწავლეები მე-11 და მე-12 კლასში აბარებდნენ, გაცდენები ნაკლებად იქნებოდა, სერიოზულად მოეკიდებოდნენ ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას, მაგრამ ეს არ მოხდა, პირიქით, სარგებელი ნახეს იმ მასწავლებლებმა, ვინც რეპეტიტორობდა.** ეს ნამდვილად მძიმე შრომაა და არც ერთი რეპეტიტორი ტყუილად არ ზის თავის მოსწავლეებთან, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლო რამდენიმე თვეში ინტენსიურად დადიოდნენ ბავშვები მათთან და სკოლა ფაქტიურად იგნორირებული იყო მათი და მშობლების მხრიდან. რაც მშობლებისთვის იყო ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთი. წარმოიდგინეთ 4 საგანში ერთდრ-ოულად თანხის გადახდა. ასე რო,მ ამ გამოცდებმა არ გაამართლა. მეც ასე ვთვლი და გარკვეული წილი მასწავლებლების აზრიც ვიცი, რომ ისინიც ასე ფიქრობენ.



**ტარიელ კალანდაძე** *(მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი)*: —თუ ვთქვათ, შიდასასკოლო გამოცდებს ჩავატარებთ, ამით ალბად სკოლის ავტონომია გაძლიერდება, რადგან სკოლა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგმავს ჩაატაროს თუ არა ყველა საგანში საატესტატო გამოცდა, პრიორიტეტი მიანიჭოს რომელიმე საგანს, თუ საერთოდ არ ჩაატაროს. თუმცაღა ცენტრალიზებულ გამოცდასაც თავისი დადებით და უარყოფითი მხარეები ჰქონდა. დადებითი იყო ალბად ის, რომ რაღაცნაირად ბავშვები მაინც აჯერხებდნენ მობილიზებას, ემზადებოდნენ გამოცდებისთვის. **როცა შემოიღეს ეგ გამოცდები. პირველად დადებითი შედეგები უფრო გამოვლინდა, მაგრამ შემდგომ დრო გავიდა, მოთხოვნები, დამოკიდებულებები შეიცვალა, შესაბამისად, ახლა ვფიქრობ, დადგა დრო იმისა, რომ ან უნდა გაუქმებულიყო ან ფორმატი უნდა შეც-ვლილიყო. ვთვლი, რომ სამინისტრომ ამ მხრივ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.**

**ნინო ბილიხოძე** *(მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი)*: — ამ საკითხზე მუსაობდნენ ადამიანები რომლებიც დღეს საგანმანათლებლო სისტემაშიი ამინდს ქმნიან. მაგრამ მე, ერთი პრაქტიკოსი მასწავლებელი ვფიქრობ, რომ რთულია ვთქვა ან ძალიან მომწონს ან არ მომწონს. ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. იმ სახით ,როგორც იყო გამოცდები, არ მგონია, რომ ვინმესთვის იყო, მაგრამ რაღაც სახით რომ მოსწავლე უნდა



გამოიცადოს სკოლის დასრულების დროს, ვფიქრობს, საჭიროა. ეს იქნება შიდა სასკოლო გამოცდები თუ სხვა რამ, მოსწავლის ცოდნა რაღაცნაირად უნდა გაიზომოს ატესტატის მიღების წინ. მეც ვეთნხმები ექსპერტებს, რომ გამოცდები რა სახითაც იყო, ვერანაირად ვერ ახდენდა ცოდნის გაზომვას, თავის საქმეს ვერ აკეთებდა. ეს ცხადია და არა მგონია, ვინმემ იდავოს ამაზე. დღესდღეობით ამის თქმა შემიძლია. მეც მჭირდება ფიქრი, ანალიზი, როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს, რა არის კარგი და რა ცუდი. ალბად რაღაც დროის შემდეგ უფრო შევძლებ ამაზე პასუხის გაცემას.

**—ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ჩაბარება სავალდებულო აღარ იქნება. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?**

**მაია თავართქილაძე:** — ამ გადაწყვე-ტილებას ვემხრობი. იმიტომ რომ უნ-არები სკოლაში, როგორც დისციპლინა, არ ისწავლება. აქ იყო მშობლის ვალდებულება, უნდოდა თუ არ უნდოდა, შვილი მიეყვანა რეპეტიტორთან, რომლის საშუალებაც ყველას არ ჰქონდა. იყვნენ მართლაც კარგი მოსწავლეები რომლებიც ვერ იხდიდნენ ამ თანხებს. თუ სკოლაში უნარები როგორც დისციპლინა შემოვა, მაშინ შეიძლება გამოცდებში შეტანაც. აქამდე კი ნამდვილად ზედმეტი რგოლი იყო, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა სიტუაციას

**მზია მეხუზლა:** —ამაზეც ბევრი მსჯელობა იყო კულუარებში, სამასწავლებლოში. პირველად, როცა შემოვიდა უნარები, გაურკვეველი იყო, რა არის ეს და რატომ უნდა ჩააბაროს ბავშვმა საგანი, რომელიც სკოლაში არ ისწავლებ,ა ცალკე საგნად. მაგრამ ის, რომ 21-ე საუკუნეში მოქალაქეს უნდა ჰქონდეს კრიტიკული, ლოგიკური აზროვნება განვითარებული, უნდა იყოს შემოქმედებითი. სხვანაირად მოაზროვნე ვიდრე ჩემი და შემდეგი თაობა, რომლებსაც კომუნისტურ პერიოდში მოგვიწია განათლების მიღება. განსხვავებულია დღეს მიდგომები, გარესამყაროც განსხვავებულია. **აუცილებელია, რომ ახალგაზრდას ჰქონდეს უნარები. სასურველი იქნებოდა რომ ეს ჩაინტეგრირებული იყოს საგაკვეთილო პროცესში.** საგანში ყველა მასწავლებელი ასწავლიდეს ბავშვებს ინტეგრირებულად, გარდა საგნობრივი ცოდნისა, აძლევდეს ამ უნარ-ჩვევებსაც მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ ხდება. თუმცა პროცესი დაწყებულია. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები როცა შევიდა, მთავარი მიზნები გახდა ზუსტად გამჭოლი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების მიღწევა. რეფორმის მთავარი მიზანიც ზუსტად ის არის, რომ ბავშვებს ვასწავლოთ კრიტიკული, ლოგიკური აზროვნება, ჯგუფური მუშაობა, კონფლიქტების მართვა, ურთიერთობები, გავუმლიეროთ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. ეს არის ზუსტად ზოგადი უნარები, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ახალგაზრდისთვის და არა მარტო ახალგაზრდისთვის. მართალია ეროვნულ სასწავლო გეგმაში წინა წლებშიც იყო ასეთი თავი — გამჭოლი კომპეტენციები თუმცა სკოლა და მასწავლებლები არ თვლიდნენ, რომ ეს არის ყველასათვის სავალდებულო, ეს ყველა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თავის საგაკვეთილო გეგმაში და უნარ ჩვევები უნდა ასწავლოს მოსწავლეს. თურმე ჩვენ ამას ვაკეთებდით, მაგრამ არ ვიცოდით, რა ერქვა, ეს არის, დავუშვათ, კონფლიქტების მართვის უნარი, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები და ა.შ. თუმცა ამას ჩვენ, მასწავლებლები ვაკეთებდით ჩვენი შემოქმედითობის ხარისხიდან გამომდინარე. რამდენად შეეძლოთ უფრო საინტერესო გამხდარიყო გაკვეთილი, დამატებითი ინფორმაციები მიეწოდებინათ. აღნიშნული ახალი სასწავლო წლიდან უკვე სავალდებულო გახდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თვითონ მასწავლებლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ეს.

**ტარიელ კალანდაძე:**—ზოგი თვლის, რომ უნდა დარჩენილიყო უნარები სავალდებულო გამოცდად, ზოგი მის გაუქმებას ითხოვდა. ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში სამინისტრომ ოქროს შუალედი მოძებნა. აღარ იქნება სავალდებულო, მაგრამ დარჩა, როგორც არჩევითი საგანი. ის მოსწავლე, რომელიც წარმატებული იყო და სხვა საგნებში ღებულობდა მაღალ შედეგებს, უნარებშიც მაღალ შედეგებს აჩვენებდა. იშვიათი მოვლენა იყო, როცა სხვა საგნებში მაღალი შედეგები ჰქონდა და უნარებში დაბალი, ეს იყო იშვიათი . ყველა საგანი რაღაცნაირად უნდა ცდილობდეს რომ უნარები განუვითაროს მოსწავლეებს, მაგრამ იქ სპეციფიკური დავალებებიც არის. ამასთან. მათემატიკური ნაწილი იდენტური იყო, აბსოლუტურად ერთნაირი ჰუმანიტარი ბავშვისთვისაც და იმისთვისაც, ვინც მათემატიკური განხრით აბარებდა. ვთვლი რომ ამის დიფერენცირება უნდა მომხდარიყო. თუ მოხდება ეს დიფერენცირება, კიდევ შეიძლება იყოს სავალდებულოდ ჩასაბარებელი თუ არა ძველი ფორმით, არ ვთვლი, რომ უნდა დარჩეს სავალდებულოდ მითუმეტეს, როცა სკოლაში არ ისწავლება.

**ნინო ბილიხოძე:** — მაგალითისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას როდესაც აბარებს აბიტურიენტი, ვერც ერთ სამუშაოს ვერ შეასრულებს, თუ მას შესაბამისი უნარები არ აქვს. თუ მას არ შეუძლია თავისი ნაფიქრის, ანალიტიკური მიგნებების ქაღალდზე გადატანა. ამას ხომ გარკვეული უნარ-ჩვევები სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამუშაოს ვერ შეასრულებს. ესე იგი ქართულის გამოცდამ თავისი შესაბამისი უნარები გამოავლინა ასეა, ყველა საგნის გამოცდაზე გარკვეული უნარები უკვე ვლინდება. იყო უცხოეური ლიტერატურიდან გადმოქართულებული ტექსტები, რომელიც მაინცდამაინც ზეპირად უნდა ისწავლოს ბავშვმა. თუ დაისწავლა, ხომ კარგი, თუ არადა საერთოდ შემთხვევითობის პრინციპით შეიძლება რომ შესრულდეს. მართალი გითხრათ, იმთავითვე ეჭვით და სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ გამოცდის მოხსნა დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს საგამოცდო სისტემისთვის.

***—მასწავლებელს მიღებული სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულების დაგროვება აღარ მოუწევს. მას მიღებული სტატუსი აღარ ჩამოერთმევა. გაამართლებს ეს ინიციატივა?***

**მაია თავართქილაძე:**—კარგია, იმიტომ, რომ მასწავლებლის ენერგია სხვა მიმართულებით წავა. მასწავლებლებმა ძალიან დიდი მუშაობა გასწიეს სქემის ამუშავების შემდეგ, ისე ბრძოლობდნენ და არ იშურებდენ ენერგიას, რომ დაეგროვებიათ კრედიტები. **კარგია, რომ გონება კრედიტებზე არ იქნება ჩაცი-კლული და უფრო ბავშვისკენ და გაკვეთილისკენ იქნება მობილიზებული. მათ გამოცდით მაინც ექლევათ საშუალება, რომ აიმაღლონ კვალიფიკაცია და მიიღონ უფრო მაღალი სტატუსი.**

**მზია მეხუზლა:** —კრედიტ ქულების დაგროვების სისტემამ არ გაამართლა. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. მხოლოდ ორი გამოცდის სისტემამაც არ გაამართლა, რასაც ჩვენ სასე-რთიფიკატო გამოცდებს ვეძახით. საბედნიეროდ, **ბევრი არა, მაგრამ ვიცი ისეთი მასწავლებლები, რომლებიც გაკვეთილს ვერ მართავენ და საკუთარი საგანიც არ იციან ნორმალურად. ასეთებმა გამოცდები ჩააბარეს. როდესაც გავიგე, რომ ისინი გახდნენ სერთიფიცირებული და უფროსი მასწავლებლები, ძალიან დიდხანს ვიყავი შოკში, გამომდინარე იქედან, რომ, გულახდილად ვამბობ, როგორ ჩააბარეს, მიკვირს. სკოლამ უფრო იცის, ვინ როგორი მასწავლებელია.** მე ვთვლი, რომ მასწავლებლის შეფასება უნდა მოხდეს შიგნით, სკოლაში ყოველდღიურ მუშაობაზე დაკვირვებით. მონიტორინგის, შეფასების ჯგუფები უნდა შეიქმნას სკოლაში, რომლებიც იქნებიან პროფესიონალები და კარგად ეცოდინებათ შეფასების სისტემა, როგორ უნდა შეფასდეს მასწავლებელი, როგორ უნდა გამოავლინოს მასწავლებლის საჭიროებები და შესაძლებლობები, როგორ უნდა გაუ-წერონ რეკომენდაციები, რომ გამოასწორონ თავისი ნაკლი. ეს ადგილზე უფრო ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ დეცენტრალიზაციაზე ვსაუბრობთ სკო-ლა მაინც ჩაკეტილი სისტემაა. ყოველგვარი მონიტორინგის გარეშეც, შიგნით ყველამ კარგად იცის, ვინ როგორ მუშაობს და როგორი შედეგები აქვს.. ამაზე მშობლები, მოსწავლეები საუბრობენ, შედეგებს ვხედავთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გარე მონიტორინგი არ არსებობდეს ან სამინისტროდან ან რესურსცენტრიდან. ორივემ ერთან უნდა იმუშაოს, მაგრამ ობიექტურად.

**ტარიელ კალანდაძე:** — მასწა-ვლებლები მთლიანად გადასულები იყვნენ იმაზე, რომ როგორმე კრედიტქულები დაეგროვებინათ. ყველა ცდილობდა, აემ-აღლებინა თავისი სტატუსი, გადასულიყო შემდგომ საფეხურზე. როცა შევთავაზებდი მასწავლებელს, რამე აქტივობა განეხორციელებინა, პირველი შეკითხვა იყო მივიღებ თუ არა ამით კრედიტქულას? შეიძლება ითქვას, რომ ამ კრედიტებში ჩვენ ბავშვები დავკარგეთ, დაგვავიწყდა უმთავრესი ამოსავალი წერტილი, რაც უნდა იყოს მასწავლებლის საქმიანობისა, მისი შემოქმედებითობისა, კრეატიულობისა. ფაქტიურად მეორე პლანზე გადავიდა ეს ყველეფერი. ახლა ალბად ისევ დავუბრუნდებით იმას, რომ ბავშვი იყოს ამოსავალი წერტილი, მისი შესაძ-ლებლობები და საჭიროებები და არა კრედიტები.

**ნინო ბილიხოძე:**—კრედიტქულების ვალდებულებებისაგან მასწავლებლის გათავისუფლება არის ძალიან კარგი საქმე. მასწავლებლის თვითმიზანი არ უნდა იყო კრედიტქულები. მასწავლებლის თვითმიზანი ყოველთვის იყო და არის მოსწავლე, მოსწავლის უნარ-ჩვევების, განვითარება, მის ცოდნაზე მუშაობა. რასაკვირველია, ამასობაში მასწავლებელი თვითონაც ვითარდება, ხდება მაძიებელი. მე, როგორც ერთმა მასწავლებელმ, რაღაცნაირად მოვახერხე, რომ კრედიტქულები დამეგროვებინა და ჩემსავით ბევრმა, მაგრამ ეს დაემსგავსა იცით რას, ისტერიკას არ დავარქმევდი, მაგრამ სისტემას, რომელმაც დაიჭირა ძალიან ბევრი დრო და ენერგია. ვერ გეტყვით, რომ მოსწავლეს რამე მოვაკელით, მაგრამ, მართალი გითხრათ, ტვირთი ცოტათი კი შემსუბუქდება.



,,ვინაიდან, განათლების სამინისტროში, ჯერ კიდევ მიმდინარეობს საბოლოო პოზიციებზე შეჯერება და ჩამოყალიბება უმჯობესია, სრული ანალიზი გავაკეთოთ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ“ გვითხრა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, **ლელა იმედაშვილმა.**


## მეფუტკრეთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი **,,თანამედროვე მეფუტკრეობა“** ლისონის ფირმის თანამედროვე დანადგარებით მეფუტკრეებს თავაზობს ფუტკრის საკვებ პროდუქტებს – **,,კანდს“** და **,,ინვერსიულ სიროფს“** ხელსაყრელ ფასებში:

***– 1 კგ კანდი – 4 ლარი,***

***– 1 კგ ინვერსიული სიროფი (ბუნებრივი ფერმენტებით) –2.5 ლარი,***

***– 1 კგ ინვერსიული სიროფი (თაფლით) – 4 ლარი.***

ასევე მსურველებს მოვემსახურებით თავიანთი ნედლეულით.

მისამართი: ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაური.

ტელ: 551 841 841; 593 222 216; 593 272 9000.

# პრიორიტეტები სტანდარტულია: გზა, განათება, მოსაცდელები...



**ალიონი**. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეხვედრებს აწყობს დაბებისა და სოფლების მოსახლეობასთან. გასულ ორშაბათს ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა სოფელ მთისპირში გაი-მართა.

—ვანისქედელები ,,ძმერხლის" შესაგროვებლად არიან წასულნი ტყეში, ან რა უნდა ქნან, თხილის მოსავალი არ იყო და არსებობის გზებს ეძებენ—წუხდნენ კრების ორგანიზატორები, თუმცა 100-ზე მეტი ადგილობრივი მოვიდა სოფლის ცენტრის უბნიდან, ოქროსქედიდან, ვანისქედიდან და უკანავიდან.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **გიორგი ინწკირველი** უძღვებოდა.

სოფელს პროგრამით მთისპირს ოთხი უბნისთვის 92 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი და კრების მონაწილეებს ამ თანხის მიზნობრივად დახარჯვის პრიორიტეტი უნდა განესაზღვრა.

აი, რა აწუხებთ მთისპირელებს:

**ზურაბ დემეტრაძე** (ვანისქედი): —წყლის პრობლემაა მოსაგვერებელი. წლებია, ხან ამ პროგრამით, ხან სხვა სახსრებით იხარჯება თანხა, ზემო ვანისქედში პრობლემის მოსაგვარებლად. შეძენილია მილები, გაკეთდა შემკრები აუზი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ...

**ლევან ბოლქვაძე** (დაბლა ვანისქედი): —45 ოჯახი იყო ჩვენს უბანში, ახლა 14 დარჩა. გზის პრობლემაა მოსაგვარებელი..

**მაყვალა გაგუა,** სოფლის კულტურის სახლის დირექტორი:— ჩაბნელებულია №1 ბრიგადის ტერიტორია. სოფლის კულტურის სახლი მძიმე მდგომარეობაშია...

**ანა ინწკირველი:** —ოქროსქედში გზის პრობლემაა, მაგრამ ვფიქრობ პრიორიტეტი უბნის დასაწყისში მოსაცდელის მშენებლობაა...

**ნანა ჭეიშვილი**, სოფლის საჯარო სკოლის დირექტორი: —სკოლასთან წყლის გამტარი არხები ამოვსებულია. მძიმე მდგომარეობაა, მთლიანი უბანი იტბორება.

<u>*პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე შეგვპირდა ვანისქედის უბანში წყლის პრობლემის მოგვარებაში დახმარებას, მაგრამ მინდა ვკითხო ვანისქედელებს, მუნიციპალიტეტი წინა წლებში გეხმარებოდათ, რომ წყლის პრობლემა თქვენს უბანში მოგვარებულიყო. რამდენი თანხა დაიხარჯა, პრობლემა კი პრობლემად დარჩა. თქვენ იმ მოტივით, რომ მეტ ანაზღაურებას ითხოვდით, უარი განაცხადეთ წყლის*</u> **<u>პროექტის განხორციელებაში მონაწილეობაზე.</u>**

**ილია მარკოიძე** (უკანავას უბანი):—მიუხედავად იმისა, რომ უკანავაში ჰესი მუშაობს. გზა არ ვარგა და განათებაც გვენატრება...

**შორენა მიქელაძე** (უკანავას უბანი): —უკანავადან სოფლის ცენტრამდე 3-4 კილომეტრია. თოვლსა და წვიმაში ბავშვები სოფლის ცენტრში დადიან სკოლაში. საჭიროა მოსაცდელების გაკეთება.

**ნათელა მარკოიძე:** —ყველამ იცით, რამდენიმე წლის წინ ჩემს მეუღლეს ილია მარკოიძეს დათვი დაესხა თავს და სერიოზული ტრავმა მიაყენა. მგლებიც თავისუფლად დათარეშობენ ჩვენს უბანში. იქნებ ჩვენი გასაჭირი გაითავისოთ და უკანავაში პირველ რიგში განათება მოაწყოთ...

უკანაველები ახალი გზის გაჭრასაც ითხოვდნენ, რაც არარეალურად შეაფასა პედაგოგმა **შორენა ინწკირველმა.** მისი თქმით ახალი გზის გაჭრა დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული...

**თემურ ერქომაიშვილი** (ცენტრის უბანი) : —გზისა და განათების პრობლემა ჩვენს უბანშიცაა..

**გივი ველიჯანაშვილი,** ექიმი: —რამდენიმე წლის წინ სოფლის საექიმო უბნის შენობაში საბავშვო ბაღი გადმოიყვანეს. ჩვენ ადმინისტრაციული შენობის პირელ სართულზე გამოგვიყვეს ბინა. გათბობა არ გვაქვს...

**ხათუნა ნემსაძე**, საბავშო ბაგა-ბაღის პედაგოგი: —10 წელია ახალი ბაღის შენობის აგებას გვპირდებიან. წარმოიდგინეთ, ერთ 35 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში 30 ბავშვი გვყავს. ამ ოთახს ყველანაირი დატვირთვა აქვს. რა დააშავეს ამ ბავშვებმა?სოფლის ექიმი დავაზარალეთ. ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზეა უბანი, სადაც ცემენტის იატაკია და მუშაობის ცუდი პირობებია. სამი ოპერაცია გაიკეთა გივი ექიმმა სისხლძარღვებზე. იქნებ ახალი ბაღი აშენდეს და სოფლის საექიმო უბანი ძველ შენობას დაუბრუნდეს.

კრების წამყვანმა გიორგი ინწკირველმა კენჭი უყარა ძირითად პრიორიტეტებს. **მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნა მოსაცდელები, განათება და გზების კეთილმოწყობაა.**

სოფლის კულტურის სახლის დირექტორის, მაყვალა გაგუას თხოვნით მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძემ და მერიის ინფრასტრუქტურის სპეცია-ლისტებმა კულტურის სახლი მოინახულეს, თუმცა სოფლის ერთ-ერთი საუკეთესო კულტურული დაწესებულების გასარემონტებლად, მთისპირელებს მუნიციპალიტეტის ხელმძ-ღვანელებისგან დაპირება არ მიუღიათ.

ოქროსქედელი **რევაზ ჯინჭარაძის** თხოვნით სტუმრები ოქროსქედში, ჯვართან იმყოფებოდნენ. აქ გამაგრებითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ოქროსქედის დედათა მონასტრის გზის ერთ მონაკვეთზე.

# დვაბზუს ნასაკირალის საბავშვო ბაღს კონტიგენტის პრობლემა არ აქვს

**ალიონი**. ნასაკირალის დასახლება მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე, ძირითადად გორაკზე, ზღვის დონიდან 100 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით ამ ადგილებში კირი მოიპოვებოდა, საიდანაც სახელწოდება მოდის. ეს ტერიტორია განთქმული იყო ძელქვის ტყით და შედიოდა დვაბზუს საზოგადოებაში. სწორედ ძელქვის ტყეში გაიმართა ნასაკირალის ცნობილი შეტაკება მეფის ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო გლეხობასა რუს კაზაკებსა და მილიციის რაზმებს შორის.

1929 წელს ნასაკირალი ტერიტორია დაჰყვეს: ნაწილი მოექცა დვაბზუს სასოფლოს საბჭოს დაქვემდებარებაში, ნაწილი სოფელ ნასაკირალის სახელით შევიდა სოფელ ძიმითის საბჭოში;ხოლო ქვედა ნასაკირალი შეურთდა სოფელ მელექედურს.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ საზოგადოებამ იცოდეს დვაბზუს ნასაკირალი არ არის რამდენიმე ათეული წლის წინ წარმოქმნილი დასახლება, არამედ მას დიდი ხნის ისტორია აქვს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ ტერიტორიაზე ეკომიგრანტები დასახლდნენ, რომლებიც დვაბზუს აბორიგენ მოსახლეობასთან ერთად აქ ჩაის კრეფდნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ სოფელ დვაბზუს საერთო წარმატებებში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაიშალა, აქ მცხოვრებმა ეკომიგრანტებმა იზრუნეს ახალი კულტურების გაშენებაზე. მათი თავდაუდებელი შრომის შედეგი სახეზეა—დასახლებაში შენდება ახალი სახლები, იზრდება ოჯახების კეთილდღეობის მაჩვენებელი.



ჰოდა, მივადექით მთავარ სათქმელს. ოჯახების ეკონომიკური სიძლიერესთან ერთად კარგი დემოგრაფიული მდგომარეობაა ამ დასახლებაში,სადაც. 80-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია.

დვაბზუს ნასაკირალის მოსახლეობს უჭირს ბავშვების ყოველდღიურად გაღმა დვაბზუს ბაგა-ბაღში მიყვანა. უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობა კარგა ხანია იდგა დღის წესრიგში.

შარშან, აგვისტოში ტენდერში გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანია ,, **KAIZENI**" დაიწყო საბავშვო ბაღის კაპიტალური შენობის მშენებლობა. შემდეგ გარკვეული დროით მშენებლობა შეჩერდა, ამჟამად მშენებლობის პროცესი აქტიურ ფაზაშია.

**გოჩა ერქომაიშვილი:** —მშენებლობის დაწყების შემდეგ კორექტირება მოხდა პროექტში. გეოლოგებმა შეისწავლეს ქანების მდგომარეობა და შენობის საძირკვლის გამაგრება გახდა საჭირო. ამ პროექტის მომზადებას 4 თვე დასჭირდა და წლის ბოლოს მოგვეცა მშენებლობის გაგრძელების საშუალება. პირველ რიგში მოხდა ფუნდამენტის გამაგრება.

მშენებლობა კარგი ტემპით წარიმართა, რაშიც კარგმა ამინდებმაც შეგვიწყვეს ხელი და მიმდინარე წლის მაისის ბოლომდე დასრულდება. 400 კვადრატული მეტრი შენობის მშენებლობაზე 450 ათასი ლარი დაიხარჯება.აქ მოეწყობა ცენტრალური გათბობა, დღევანდელი სტანდარტებით გათვალისწინებული ყოველგვარი კომფორტი.



,,KAIZENI" ერთ-ერთი ცნობილი კომპანიაა რეგიონში. ბოლო წლებში მათ ააგეს ,,ასკანგელ ალიანსის" ადმინისტრაციული კორპუსი, ამავე კომპანიის სასაწყობე მეურნეობა სოფელ მთისპირში; ვარლამ სიმონიშვილის სახელობის მუზეუმი სოფელ შემოქმედში: ამჟამად აშენებენ მაკვანეთში არტემ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის მუზეუმს და სოფელ ჭანიეთში მუნიციპალიტეტში შემოსასვლელს.

ახალი ბაღის მშენებლობა უხარიათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ჩვენ ზოგიერთ მათგანს გავესაუბრეთ.

მამა-შვილი მალხაზ და თამაზ ირემაძეები მშენებლობასთან ახლოს კარტოფილს თესდნენ. **თამაზი** გაგვესაუბრა: ორი შვილი მყავს. უმცროსი 1 წლისაა და მომავალ წელს ბაღში უნდა წავიყვანო. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ ბაღის მშენებლობა. დაგვეზოგება დრო, თანხები. გულიც დამშვიდებული გვექნება, რომ ბავშვები სახლთან ახლოს გვეყოლება ბაღში.კარგია, რომ მშენებლობაზე ადგილობრივებია დასაქმებული.

**დავით შაინიძე:** —4 შვილი მყავს. უმცროსი 5 წლისაა და სოფელ დვაბზუს საბავშვო ბაღში დაგვყავს (გვემსახურება მიკროავტობუსი). მე იქაური ბაღის უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ აგერ, ჩვენს უბანში საუკეთესო შენობა შენდება.

**ფირუზ ძირკვაძე**: —ჯერ-ჯერობით ერთი ბავშვი მყავს. ჩემი შვილი ჩვენი დასახლების 53 ბავშვთან ერთად დაგვყავს გაღმა დვაბზუს საბავშვო ბაღში. ახალ ბაღს კონტიგენტი იმაზე მეტი ეყოლება, ვიდრე პროექტი ითვალისწინებს.

კომპანია ,,KAIZENI"-ს წარმომადგენელი **კახა კანდელაკის** თქმით, ამ დასახლების ერთ-ერთი პრობლემა დამისამართება, რაც უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს.ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის მომდევნო პროგრამა ამ დასახლებაში სასმელი წყლის შემოყვანა გახლავთ.

# არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც დროს გაუსწრო



**1)სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, რომლის მიზანია სოციალურად მოწყვლადი ფენების ინტერესების დაცვა.**

კვლევების საშუალებით აფასებს ორი სამიზნე ჯგუფის – 1 წლამდე პირების, მათი ოჯახების (მათ შორის შშმ პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები) და ხანდაზმულების სოციალურ მდგომარეობას, რის შესაბამისადაც, კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით, ახორციელებს ცვლილებების ადვოკატირებას სოციალური დაცვის პოლიტიკაში

აღნიშნული სფეროს რეფორმირების პროცესში სახელმწიფოს ეხმარება ალტერნატიული სოციალური მომსახურებების დანერგვაში.

**2) მოზარდების/ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების განვითარება, რომლის მიზანია მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართვა ბავშვთა უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის პროცესში; ასევე მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა გამოწვევაში სკოლისა და თემის დონეზე.**

1996 წლიდან შექმნილია „ლიდერთა სკოლა“, რომელიც წარმოადგენს არაფორმალური განათლების ცენტრს (პირველად დაარსდა ოზურგეთში, შემდეგ – ლანჩხუთსა და თბილისში). ორგანიზაციის მოზარდების განათლების კონცეფცია ეფუძნება: დემოკრატიული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; მათ მიერ შესწავლილი/გააზრებული ინფორმაციის გავრცელებას თანატოლებში; ცვლილებების მიღწევის მიზნით მოზარდების ჩართვას სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების პროცესებში.

მუშაობს სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან, რათა მათ უზრუნველყონ თანატოლთა უფლებების დაცვა და ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებასა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მუშაობს აგრეთვე სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან მათთვის სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, შესაძლებლობების რეალიზებისა და და თემის განვითარებაში მათი მონაწილეობის მიზნით.

**3) სკოლების დემოკრატიზაციის ხელშეწყობა, რომლის მიზანია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და სკოლის მართვის პროცესებში მშობლების, მოსწავლეებისა და თემის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობით მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული დემოკრატიული და გამჭვირვალე სკოლის მართვის სისტემის ჩამოყალიბება.**

განხორციელებული კვლევების საშუალებით, გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც აწვდის საგანმანათლებლო უწყებებს, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნეს საგანმანათლებლო სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად; ასევე, გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია ქმნის ახალ მოდულებს ადგილობრივი სკოლების გასაძლიერებლად.

საჯარო სკოლების ორგანიზაციული კულტურის ამაღლებისა და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დახმარებას უწევს მათ კონსულტაციების გაცემისა და ტრენინგების ჩატარების საშუალებით. შექმნილი აქვს ლიდერების (პედაგოგები და მშობლები) – „ცვლილებების აგენტების“ – საგანმანათლებლო სკოლა გურიაში.

კომპონენტთა დიდი მოცულობითი სამუშაოების ერთ საგაზეთო მასალაში წარმოჩენა, თუნდაც თითო წინადადებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, შევეცდებით, ჩვენი შეხედულებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანებზე გავაკეთოთ აქცენტი.

ერთხელ ბატონმა **ლევან მჟავანაძემ,** მაშინ იგი სკოლების დემოკრატიზაციის კომპონენტის მენეჯერად მუშაობდა, გაზეთ „საფეხურის“ ერთ-ერთ ნომერზე ერთობლივად მუშაობის დროს, მითხრა: ერთია კვლევები და მეორეა, რა პრაქტიკული შედეგები მოაქვს ამ კვლევებს. მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია ის, რომ სკოლის დირექტორების ანგარიშებისადმი ბენეფიციართა მოთხოვნა გაზრდილია. ამ ტენდენციის ხელშემწყობი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, არის ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგი და მისი შედეგების გათვალისწინებით შედგენილი გზამკვლევი, რომელიც ეხმარება საჯარო სკოლების დირექტორებს, უკეთ მოამზადონ ანგარიში და სრულყონ სწავლა-განათლების ხარისხის შესაბამისობა განათლების ეროვნულ მიზნებთან“.

მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერების განვითარების კომპონენტს, რომ სხვა არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ „ლიდერთა სკოლა“ იკმარებდა მისი საქმიანობის აპოგეაში ასაყვანად. ამ ალტერნატიულ სასწავლო დაწესებულებაში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, კამათის კულტურა, ანალიტიკური აზროვნება, განსხვავებული აზრის პატივისცემა და ა. შ.

*„ჩვენმა „ლიდერებმა“ იციან, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის რაღაც აბსტრაქტული მიზანი, ის თითოეული მათგანის ასაშენებელია– ადამიანის უფლებების დაცვით, გულგრილობის ბარიერის გადალახვით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით. მათი ასაკი – პიროვნების ფორმირების ასაკი – საამისოდ სწორედ რომ შესაფერისია.*

*ჩვენს უპირველეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბავშვების ნდობა მოვიპოვეთ. ჩვენი ორგანიზაციის პოპულარობა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს“,* – ამბობს კომპონენტის მენეჯერი ნონა სადრაძე.

„ლიდერთა სკოლის“ ყველაზე ძვირფასი, შეიძლება ითქვას, უნიკალური პროდუქტია მისი აღზრდილები. სუბიექტურობაში ნუ ჩამომართმევთ, დავასახელებ მხოლოდ მათ, ვისთანაც შეხება მქონია: **გიორგი კეკელიძე, ქეთი სტურუა, ანა აბაშიძე, ანა ბაქანიძე გვანცა ჩხაიძე, არჩილ თალაკვაძე, გიგი მახარაძე, ვახუშტი მენაბდე, თათია მგელაძე, თამარ ურუშაძე, თაკო მექვაბიშვილი,, თემო გაბეჩავა, ვერო მელუა, ლევან სიხარულიძე...** საბედნიეროდ იმდენია, ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ქვეყნისთვის ჯერჯერობით ცოტაა.

**გიორგი კეკელიძე, მწერალი, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, ყოფილი ლიდერთა სკოლელი:** *„ძალიან მარტივად შემიძლია ვთქვა: იმ წლებში, როცა ამ ორგანიზაციას შევუერთდი, ქალაქში სხვა არაფერი ხდებოდა. თუმცა, ეს ფრაზა თითქოს მცირედსაც კი მნიშვნელოვანს ხდის. არადა, ეს იყო ძალიან, ძალიან დიდი ამბავი თავისი მასშტაბით და ის ნებისმიერ დროსა და სივრცეში ასეთი იქნებოდა. ყველაფერი, რაც ახლა ვიცი, მაშინ ვისწავლე – ორგანიზებულობა, ცოდნის დაუფლების მეთოდები, თავისუფლების ფასი, სიტყვის ძალა. მიხარია, რომ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ისეთივე და კიდევ უფრო ძლიერია“.*

**ვერო მელუა, თავისუფალი უნივერსიტეტის მართვის სკოლის სტუდენტი, „კინგსი საქართველოს ქოფირაითერი, ყოფილი ლიდეთა სკოლელი:** *„მეხუთე წელია სტუდენტი ვარ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არაერთხელ მიფიქრია, სად ვიქნებოდი, რომ არა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“. ადამიანებს ბავშვობაში ნამდვილად სჭირდებათ რაღაც, რაც თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს, მისცემს განვითარებისა და მეტის გაგების შესაძლებლობას. ჩემს ბავშვობაში კი ლიდერთა სკოლა იყო ის, რაც ყოველთვის მეხმარებოდა საკუთარი თავის რეალიზებაში (თანაც სკოლისგან განსხვავებულ სივრცეში), სხვადასხვა უნარის აღმოჩენასა და განვითარებაში. გარდა ამისა, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისგან“ კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი რამ დამრჩა: მეგობრები, ურთიერთობები და ემოციები – ამ ფასეულობებმა დროს გაუძლო და ისინი დღესაც აქტიურ როლს ასრულებენ ჩემს ცხოვრებაში.“*

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში ათობით უცხოელ მოხალისეს უმასპინძლია, რომლებიც ემადლიერებიან ორგანიზაციას და სიამოვნებით იგონებენ აქ გაწეულ მათ მოხალისეობრივ საქმიანობას:

**იულე კლაინშმიდტი, მოხალისე გერმანიიდან:** *„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი ჩემთვის, როგორც მოხალისისათვის, მხოლოდ მასპინძელი არ ყოფილა. ის ჩემი ოჯახიცაა და კიდევ უფრო მეტს ნიშნავს ჩემთვის. მისი თანამშრომლები ჩემი მეგობრები არიან. გარდა სამუშაოსი, რომლის შესრულებაც უზომოდ მსიამოვნებდა, აღსანიშნავია ურთიერთდამოკიდებულება, ნდობა, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი. მარინას ძალიან ვემადლიერები იმის გამო, რომ ასე სჯეროდა ჩემი და იმ საქმეების, რომლებსაც ვაკეთებდი.. მადლობელი ვარ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა, რადგან მან მრავალმხრივი განვითარების საშუალება მომცა. საქართველო მხოლოდ მისი საუკეთესო მხრიდან გავიცანი. აქ მოხალისედ ყოფნა მართლაც სახალისოა. ზოგჯერ ეს ძალების დაძაბვასაც მოითხოვს (კარგი გაგებით)“*

**კოლტონ ჰითი, მოხალისე ამერიკის შეერთებული შტატებიდან:** *„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა, მიმიღო, როგორც ოჯახის წევრი და არა, როგორც მოხალისე. ძალიან გამიმართლა, რომ მომსახურებას ვუწევდი ორგანიზაციას, რომელიც ძალღონეს არ იშურებდა შეჭირვებული ადამიანების დასახმარებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის მოტივირებული იყო ექეთებინა კარგი საქმეები მოსახლეობის ამ ნაწილისათვის.“*

როგორც ქალბატონი მარინა ამბობს, ორგანიზაციის მიზანია საქართველოს მოსახლეობის მოწყვლადი ფენების სოციალური უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება სამოქალაქო ცნობიერე-



ბის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო პროცესებში ცალკეული პირების ჩართვის სტიმულირებისათვის:

**„ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ მოზარდებთან, რათა ვასწავლოთ თავად, დამოუკიდებლად როგორ შექმნან უკეთესი გარემო და მომავალი; ვთანამშრომლობთ სკოლებთან და მათთან ერთად ვცდილობთ, დავნერგოთ სკოლის მართვის თანამედროვე სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ ღირებულებებზე; ვიცავთ 18 წლამდე მოზარდებისა და ხანდაზმულების სოციალურ უფლებებს; საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმის მონიტორინგისა და კვლევების საფუძველზე, ვამზადებთ რეკომენდაციებს სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად.**

**ზემოაღნიშნული საქმიანობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ვითანამშრომლეთ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თუ კერძო პირთან, რისთვისაც მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს.**

**ჩვენ მიერ მომზადებულ რეკომენდაციებსა და ადვოკატირების კამპანიებს სისტემური ცვლილებებიც მოჰყვა. ვფიქრობთ, უკეთესობისკენ შევცვალეთ მრავალი ადამიანის ცხოვრება.**

**თუკი რომელიმე ბენეფიციარის კონკრეტულ გამოწვევას შესაბამისად ვერ ვუპასუხეთ, გულწრფელად ვთხოვთ – მოგვიტევონ. ვპირდებით, რომ მომავალში მათთან ერთად უფრო მეტს შევძლებთ, ან შეძლებენ ის ახალგაზრდები, რომლებთანაც ვმუშაობთ ჩვენი ორგანიზაციის „ლიდერთა სკოლაში“). ამ თამამი განცხადების საფუძველს გვიქმნის თუმდაც ჩვენს ყოფილ მოსწავლეთა ჩანაწერები.**

**განსაკუთრებული მადლობა ჩვენს კურსდამთავრებულებს საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებისათვის, რომელსაც ისინი მიმდინარე ეტაპზე ავლენენ. ჩვენ მათ მივეცით „განათლება, ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელსაც მსოფლიოს შეცვლა შეუძლია“ (ნელსონ მანდელა). ისინი უკვე პოზიტიურ მონაწილეობას იღებენ ამ პროცესში და უკეთესობისკენ ცვლიან სამყაროს. ეს ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა!“**

ორგანიზაციამ უდავოდ უმნიშვნელოვანესი მისია შეასრულა ანასეულში ხანდაზმულთა სახლის გახსნით. სარემონტო სამუშაოები და ინვენტარით აღჭურვა განხორციელდა იაპონიის საელჩოს დაფინანსებით, ხოლო პროგრამულ დაფინანსებას, სათემო პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. სახლი გათვლილია საპენსიო ასაკს მიღწეულ 26 ბინადარზე. ოთახებში შესაძლებელია იცხოვროს ორმა ან სამმა ადამიანმა. შენობაში შესასვლელი, ოთახები და სააბაზანოები ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე ხანდაზმულ პირთათვის. სახლს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც მოდის სოციალური მუსაკი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ექიმი.

**რაც შეეხება მულტიკულტურულ/ლიტერატურულ კაფეს „რვას+1“, რომელიც ორგანიზაციისთვის სოციალურ მეწარმეობას წარმოადგენს, იგი შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის სადღეისო სავიზიტო ბარათია.** მისი მიზანია 18-28 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დასაქმება მათთვის სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში ხელშეწყობა. ცალკე ისტორიული ფურცელია, ალბათ, ცნობილ პიროვნებებთან და მოღვაწეებთან აქ გამართული შეხვედრები.

და ბოლოს, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ცენტრი მდებარეობს რეგიონში, ოზურგეთში, ხოლო ფილიალი თბილისში. უპრეცედენტო ფაქტია! არ გამიკვირდება, მსგავსი ფილიალები ევროპაში და ოკეანის გაღმაც გაიხსნას.

**თემურ მარშანიშვილი**

# ოზურგეთში სარესტავრაციოდ ოთხი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შეირჩა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ინტეგრირების პროექტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით გეგმავს. გურიის რეგიონში სააგენტოსა და ფონდის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ვიზიტისას უკვე განისაზღვრა საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების წინასწარი ნუსხა, რომლებზეც მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის პროცესიც წარიმართება.

რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და ტურისტული პოტენციალის განსაზღვრის მხრივ უწყებათა ხელმძღვანელების მიერ, პირველ ეტაპზე 4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შეირჩა. სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ფიზიკური სამუშაოები **ლიხაურის ციხეზე, ასკანის ციხეზე, კონჭკათის მამათა მონასტერზე და ჯუმათის ეკლესიაზე მიმდინარე წელს დაიწყება.** კონჭკათის მონასტრის გარდა, სადაც სააგენტოს დაფინანსებითა და ორგანიზებით დასრულდა ტაძრის სარეაბილიტაციო პროცესი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს არქიტექტურული ნაგებობების რეაბილიტაციას, მათ სტრუქტურულ გამაგრებას, ტერიტორიებზე გადასახედი მოედნებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას, საკომუნიკაციო გზების მოწესრიგებასა და განათების სისტემების მონტაჟს. . კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ოთხივე ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოებისთვის პროექტებს მოამზადებს.

# გაელვება

## *მათე ბერაძეს*



სპეტაკ ფიფქივით მოფრინდი,
ფარფატით, ნაზით.
ვერ მოვასწარით შეხება,
უეცრად დადნი.

განათებული ცა ხარ
ელვისგან წამით.
ვარდისფურცლიდან დილით,
მზისგან გამქრალი ნამი.

შენ გაიქროლე თვალწინ,
მოწყვეტილ ვარსკვლავმა როგორც,
ამ ქვეყნად მოსული გაფრინდი ზეცად,
დატოვე ტკივილი და სევდა მხოლოდ.

**ბიძინა ლომჯარია.**

# ნასაკირალელებმა თხილის წამლობა უკვე დაიწყეს

**ალიონი.** დვაბზუს ნასაკირალში თხილის პლანტაციებში სოკოვან და სხვა დაავადებების წინააღმდეგ წამლობა უკვე დაიწყეს.

**ფირუზ ძირკვაძე:** –ერთი ჰექტარი მიწის ფართობი მაქვს. ამ ფართობის ნახევარი თხილის კულტურას უჭირავს, ნახევარი –ციტრუსს.

შარშან თხილი მხოლოდ 2-ჯერ შევწამლე, რაც არ დარჩა საკმარისი და ძალიან მცირე მოსავალი მივიღე. სამაგიეროდ –ციტრუსი 5-ჯერ შევწამლე და მოსავალიც კარგი მქონდა. 6 ტონა მანდარინი გავყიდე ადგილზე –კილოგრამი 70 თეთრად.

**დათო შაინიძე:** –მარტო ფაროსანა არაა ჩვენი პრობლემა. სოკოვანი დაავადებები აქვს თხილს და სხვა კულტურებს. მე თურქეთში ვყიდულობ შესაწამლ პრეპარატებს და შედეგიც უკეთესი მაქვს.

რაც შეეხება მამა-შვილ **მალხაზ** და **თამაზ** ირემაძეებს, მათ უკვე დაასრულეს კარტოფილის დათესვა და 1 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე,სადაც როგორც ადრე, 3 ტონა კარტოფილის მოსავალს ვარაუდობენ.



–კარტოფილის საადრეო თესლი ვერ შევიძინეთ. ამიტომ მოსავალს ივნისის თვეში იქნება ამოსაღები –გვითხრეს მათ.

**იყიდება**

**ოროთახნახევრიანი სარემონტო ბინა.**

**საგარაჟე ადგილით**

**მის: ოზურგეთი, ანასეული,**

**მეცნიერების ქ. №31 ტელ: 599 12 10 27**

**ფასი შეთანხმებით.**

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ძველმანის გამყიდველი | | | პურის სოკო | კორიდის რაინდი | | |
| | | | | | | | | თხელი წყალი მდინარეში | | | | | | | პირველი პირის ნაცვალსახელი | |
| | | | | | | | | | | | | ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბი | | | ნაცია | |
| | | | | | | | | | | | | | | დამხმარე ჯარი | | |
| | | | | | | | მწვრთნელი | მსუბუქი ქარი | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | მონადირე ფრინველთა მწვრთნელი | | | | | | |
| | | | | | | | ადმინისტრაციული ერთეული | | | მუნიც-ტი სამეგრელოში | | | | | | |
| | | | | | | | | | | ფრანგი მწერალი | | სოფელი იმერეთში | | | | ნივრის ლებანი |
| მესამე პირის ნაცვალსახელი | | საახალწლო დღესასწაული | | | მამაკაცის სახელი | | | | | | | დიდი საღვინე | | | | |
| ლიტერატურული ჟანრი | | | | | | | ბებიაქალი | | | | ჯარისკაცის სამოსი | პურეულის სალეწი იარაღი | | | | |
| | თურქი | ჯარი | | | | | ელექტრო ხელსაწყო | | | | | | | | | |
| | | | | | | ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | | | | | | შხამი | | ანბანის ბოლოსწინა ასობგერა | | |
| | | | | | | | შარდის გამომყოფი ორგანო | | ღმერთი | მაღალი ცა | | | | დონ კიხოტის ავტორი | | |

## № 4-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – იაკობ გოგებაშვილი; შეძახილი ხარის გასადენად – აში; მდინარე სამაჩაბლოში – ლიახვი; სარეცხის ფხვნილი – აინა; სახელმწიფო აფრიკაში – ეთიოპია; სიგრძის საზომი ერთეული – მილი; დედა გურულად – ნენა; მთა ხობის მუნიციპალიტეტში – ურთა; ჭაობის ბუ – ბაიყუში; მაღალის ანტიპოდი – დაბალი; ფრანგი ფეხბურთელი – ჟირუ; შრი ლანკა, ანუ – ცეილონი; პროვინცია ზამბიაში – ლუაპი; ყურთასმენის წამლები – ხმაური; შეკრულობისას ავადმყოფს რომ უკეთებენ – ოყნა; მზის სისტემის ცდომილი – ნეპტუნი; მოჭადრაკე ... კრამლინგი – პია; მსუბუქი სიცილი – ღიმილი; კომში – ბია; საზღვარი – სამანი; კურკოვანი ხილი – ბალი; ფიასცო – კრახი; დათვის სახეობა – პანდა; ფილიპინების დედაქალაქი – მანილა; ჭიდან წყლის ამოსაღები – ოწინარი; მე-6 ნოტი – ლა; საპორტო ქალაქი იტალიაში – გენუა; კურორტი ადიგენის მუნიციპალიტეტში – აბასთუმანი; ტბა აფხაზეთში – რიცა; კლასიკოსი მწერალი – როლანი; მუნიციპალიტეტი აფხაზეთში გალი; მესამე ხმა – ბანი; ღვინის შესანახი – მარანი; ქალის სახელი – ლია; სადაც შაქარს აწარმოებენ – აგარა; დასახლებული პუნქტი – დაბა; ქართული გვარი – ცირამუა; დიახ – ჰო; პირველი სამნიშნა რიცხვი – ასი.

# 1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




*1841 წლის აჯანყება გურიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებიდან XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ მოძრაობამდე შუალედში სწორედ გურიის აჯანყება წარმოადგენდა ანტირუსული ეროვნული მოძრაობის ყველაზე შთამბეჭდავ გამოხატულებას. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება ლოკალური ხასიათისა იყო, მასში სავსებით ცხადად გამოვლინდა ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი: ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყების მომზადების, დაწყებისა და მიმდინარეობის ისტორიამ დაადასტურა, რომ იგი არ იყო შემთხვევითი და სტიქიური მოვლენა, არამედ განაპირობა რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ. ამ პოლიტიკამ და მისმა მესვეურებმა გურიის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა (საბატონო და სახელმწიფო გლეხები, აზნაურები, თავადები) აიძულა იარაღი აეღო ხელში და უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულიყო დამპყრობელთან.*

## აჯანყების მიზეზები და დასაწყისი

1. **აჯანყების მიზეზები.** 1841 წლის გურიის აჯანყების მიზეზები ერთბაშად არ წარმოშობილა, იგი დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. 1804 წლიდან, როდესაც გურიის სამთავრო სახლის და პრივილეგირებული ზედაფენის, აღარ-აფერს ვამბობთ გლეხობაზე, სურვილის გარეშე ძალდატანებით მიიღეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, გურიაში ანტირუსული ძალების ორგანიზება იწყება. 1810 წელს გურიის სამთავრო უკვე მეორედ, დამოუკიდებლად, მიიღეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში. მართალია, ქვეშევრდომობის ორივე აქტით, გურიაში მმართველად მთავარი და მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება რჩებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, გურია იმერეთის დროებით მმართველობას დაუქვემდებარეს. მზადდებოდა ნიადაგი სამთავროს გაუქმებისათვის. საქართ-ველოს მთავარსარდლებს, პაველ ციციანოვს (1802-1806), ივან გუდოვიჩს (1806-1809), ალექსანდრ ტორმასოვს (1809-1811), ფილიპ პაულუჩის (1811-1812) და ნიკოლაი რტიშჩევს (1812-1816) გურიის სამთავროს გაუქმება იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად სურდათ. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალა ჯერ იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის დაწყებული ბრძოლის გაჭიანურებამ (1804 1810 წწ.) შემდეგ კი რუსეთ-ოსმალეთის ომმა (1806-1812). ოსმალეთთან ომში გამარჯვებულმა რუსეთმა გურიის სამთავრო იმიტომ ვერ გააუქმა, რომ რუსეთის ჯარმა ოსმალები აჭარიდან ვერ განდევნა და, ამდენად, გურიის სამთავრო ოსმალეთის მოსაზღვრე რეგიონად დარჩა. უფრო მეტიც, ომის მიმდინარეობისას, 1809 წელს, დაკავებული ფოთის ციხე-სიმაგრე ბუქარესტის ზავით (1812 წ.) რუსეთმა ისევ ოსმალეთს დაუბრუნა. აჭარაში მარცხმა და ფოთის ოსმალეთისათვის დაბრუნებამ რუსეთს საშუალება არ მისცა, გურიის სამთავრო გაეუქმებინა, მაგრამ ამ მარცხს არ შეურიგდა და ჩანაფიქრის ასრულებისათვის დაიწყო მზადება. ამის საშუალებას რუსეთის ხელისუფლებას ის პირობები აძლევდა, რომლებიც 1810 წელს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლისას თავს მოახვიეს გურიის მთავარს. გურიის სამთავროში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის დაწყების მომასწავებელი იყო 1819-1820 წლების აჯანყება, რომელიც მხოლოდ სერიოზული სამხედრო ძალის გამოყენებით ჩააქშვეს. აჯანყების დამარცხების შემდეგ მისი ბევრი მონაწილე ოსმალეთში გადაიხვეწა. აჯანყება დამარცხდა და რუსეთის საიმპერატორო კარმა კვლავ გააგრძელა ძველი კოლონიური პოლიტიკა, რომლის მიზანი უცვლელი დარჩა.

გურიის უკანასკნელი მთავრის, **მამია V გურიელის,** გარდაცვალების (1826 წ.) შემდეგ, 1827 წლიდან, მთავრის ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვნობის გამო სამთავროს **„გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო“** განაგებდა, რომლის თავმჯდომარე დედოფალი **სოფიო** იყო. დედოფალი კარგად გრძნობდა, რომ რუსეთი სამთავროს გაუქმებას ამზადებდა, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა წინ აღდგომოდა ამ პროცესს და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ ოსმალეთს სახავდა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობის დროს რუსეთმა გურიის სამთავროში ჯარი შეიყვანა და დედოფალ სოფიოს ოსმალეთის მხრიდან დახმარების იმედი გადაუწურა. 1828 წელს სოფიო გურიელი თავის მომხრეებთან ერთად ოსმალეთში გაიხვეწა, ხოლო გურიის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი რუსეთის ჯარმა დაიკავა. 1829 წლის 26 დეკემბერს გურიის სამთავრო და სამთავროს დროებითი მმართველობაც გაუქმებულად გამოცხადდა. სამთავროს გაუქმების შემდეგ გურიაში უშუალოდ რუსული მმართველობა არ შემოუღიათ. ყოფილ სამთავროს განაგებდა **გურული თავადების საბჭო,** რომლის თავმჯდომარე რუსი ოფიცერი იყო. 1840 წლის ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმის ძა ვახტანგ გურულილით, გურია მაზრის სახით საქართველო-იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. ასე დასრულდა რუსეთის ბრძოლა გურიის სამთავროს ფაქტობრივი და ფორმალური გაუქმებისათვის, გურია რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ჩვეულებრივ მაზრად იქცა.

რუსეთის იმპერიის ჩარევა გურიის სამთავროს შინაურ ცხოვრებაში, სამთავროს ორგზის (1804წ., 1810 წ.) ძალდატანებით მიღება ქვეშევრდომობაში, 1819-1820 წლების აჯანყების ჩახშობა და შემდეგ სამთავროს გაუქმებისათვის ბრძოლა (1826-1829 წწ.) უაღრესად მტკივნეული და სისხლიანი პროცესი იყო არა მარტო გურიის სამთავრო სახლის (მთავრის, დედოფლის, ბატონიშვილების), პრივილეგირებული წოდების (თავადების, აზნაურების), არამედ გლეხობისთვისაც. რუსული მმართველობის შემოღება, ქართული სამართლის რუსული კანონებით შეცვლა, ქართული ტრადიციებისა და ადათ-წესების აბუჩად აგდება, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების თვითნებობა და ძალმომრეობა, სულ უფრო მზარდი კორუფცია, ანტირუსული ძალების დაუსრულებელი დევნა და შევიწროება, ძველი გადასახადების აკრეფის წესის შეცვლა და ახალი გადასახადების დაწესება გახდა 1841 წლის გურიის აჯანყების უმ-თავრესი მიზეზი.

ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა განსაზღვრა აჯანყების მიზანიც: **გურიის გათავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ გურიის აჯანყება თავისი ხასიათით **ეროვნულ მოძრაობას** წარმოადგენდა და მას ზოგადად ის მიზნები ჰქონდა, რაც საერთო-ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ყოველივე ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ საბჭოთა (კომუნისტურ) ისტორიოგრაფიას გურიის აჯანყების სოციალურ მოძრაობად გამოცხადების მისწრაფება ჰქონდა და მისი დაწყების მიზეზად 1841 წლიდან საგადასახადო სისტემაში გატარებულ ცვლილებას (სულადობრივი გადასახადის შემოღება, ყველა ნატურალური გადასახადისა და ბეგარის ერთი ფულადი გადასახადით შეცვლა) მიიჩნევდა. ასე გაჩნდა ცნება „1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყება“, ხოლო მის მამოძრავებელ ძალად გადასახადებით შეწუხებული და რუსეთის ჯარში მოსალოდნელი გაწვევით შეშინებული გლეხობა გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამდე გურიის აჯანყების მიზეზად ახალი გადასახადების შემოღე-ბასა და აჯანყების სოციალურ მოძრაობად გამოცხადებას ცდილობდნენ იმ დროის საქართველოში მოღვაწე მაღალი რანგის რუსი სამხედროები. 1841 წლის 1 სექტემბერს დაწერილ მოხსენებაში გენერალ-მაიორი **ნიკოლაი მურავიოვი** აღნიშნავდა, 1841 წელს, ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებამდე, გურიის მოსახლეობა უსიტყვოდ ასრულებდა ხელისუფლების ყველა მოთხოვნას და გურულების სიმშვიდე მხოლოდ 1841 წელს დაირღვაო. გენერალი ცდილობდა, რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა, რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების თვითნებობა გაემართლებინა: რუსი მოხელეები კანონის დაცვით მოქმედებდნენ, მაგრამ რა მათი ბრალია, თუ გურულებმა ეს კანონები არ იცოდნენო. რუსი გენერალი გაკვირვებული იყო იმით, რომ გურულები არა მარტო გადასახადის გადახდაზე ამბობდნენ უარს, არამედ შეურაცხყოფას აყენებდნენ რუს მოხელეებს. ნიკოლაი მურავიოვი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ დამნაშავენი დააპატიმრა, რასაც გურულებმა ასე უპასუხეს:

„თუ ჩვენ შორის ვინმე დამნაშავეა, მაშინ ჩვენ ყველანი დამნაშავეები ვყოფილვართ!“ და

ყველამ იარაღს მოჰკიდა ხელიო.

**ვახტანგ გურული**

**(გაგრძელება იქნება)**

# ნამდვილი მამულიშვილი



მამულაიშვილებს მამულიშვილები არ აკლიათ, მაგრამ მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბაილეთელ **ამირან მამულაიშვილს**, ამაგდარ კაცს, მშობლიური სოფლისა და თანასოფლელთა დიდ ჭირისუფალს, რომლის ყველაზე საყვარელი, გულიდან ამოსული ფრაზაა „ჩემი ბაილეთი“. ბატონ ამირანს, რასაკვირველია, შემთხვევით არ აურჩევია ფსევდონიმად „ბაილეთელი“. სტაჟიან თუ ახალბედა მკითხველს ახსოვს, ალბათ, ჩვენს გაზეთში ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებული მისი არაერთი საინტერესო პუბლიკაცია, რომელთა უმეტესობას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ამ ზაფხულში 87 წელს მიითვლის თავისი დაბადებიდან. დიდ იუბილემდე კიდევ ორი წელია, მაგრამ ისეთი კაცია, ნამდვილად არ ღირს მისი რომელიმე დაბადების დღის აღუნიშნავად გატარება.

ბატონი ამირანის ბიოგრაფიას რომ ჩავუჯდეთ, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი მეტად საინტერესო სათავგადასავლო ჟანრი გამოგვივა, რასაც ჩვენი გაზეთი ნამდვილად ვერ დაიტევს, ამიტომ, მხოლოდ რამდენიმე გამორჩეულ შტრიხზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

თანასოფლელთა სიტყვებით დავიწყებთ, რომელთა თქმით, ბატონი ამირანი ის პიროვნებაა, ვისაც არასდროს შეშლია კაცობა, ვინაც გვერდით ედგა და უდგას სოფელს, ვისი დამსახურებაცაა, რომ ბაილეთს ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა რაიონის შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში.

თავის დროზე წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების სამწლიანი რესპუბლიკური სკოლა და ასევე წარჩინებით — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულს, შეეძლო სხვაგან, უფრო საპასუხისმგებლო პოსტებზეც წასულიყო, მაგრამ ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სოფლის სიყვარულისა, არ დატოვა იგი და ნახევარ საუკუნეზე მეტი მუხლჩაუხრელად ემსახურა მას. ბაილეთში ცნობილი ადამიანების, ქალბატონი ვერა და ბატონი ბიჭიკო მამულაიშვილების შვილს შრომის სიყვარული და სიბეჯითე ბავშვობიდანვე დაჰყვა. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში, არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე, უნარიანად ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეჩაიეთა რგოლს, რომელშიც, ადგილობრივ ახალგაზრდობასთან ერთად, უკრაინიდან ევაკუირებული ახალგაზრდებიც იყვნენ გაერთიანებული.

ამ პერიოდში გაწეული ღვაწლისათვის 1944 წელს დააჯილდოვეს მედლით „1941-1944 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. მეექვსე კლასის მოსწავლე, 11 წლის ყმაწვილი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოთი, რასაც პრეცენდენტი არ აქვს არც ერთ დროში.

ჯილდო შემდგომშიც მრავალი დაიმსახურა, მათ შორის ღირსების მედალი. მრავალი წლის მანძილზე ბატონი ამირანი მუშაობდა სოფლის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მდივნად, პროფკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ თავმჯდომარედ, უფროს აგრონომად, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, დიდხანს ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობასაც. 50 წელი მუშაობდა იგი სოფელში ხელმძღვანელ სამუშაოებზე და არასდროს არანაირი კარიერისტული მისწრაფება არ ამოძრავებდა. არასდროს უფიქრია რაიმე უპირატესობის მიღებაზე. კრისტალურად სუფთა პიროვნება მუდამ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა თავისი სოფლისა და ხალხისათვის. ასწავლიდა მათ და სწავლობდა მათგან.

მადლიერმა თანასოფლელებმა დაბადებიდან 75 და შრომითი საქმიანობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, იუბილე გადაუხადეს გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში, როგორც ამ გაზეთში თანამშრომლობის ყველაზე მეტი სტაჟის მქონე ჟურნალისტს.

მშობლიურმა სოფელმა მას „კაცობის პრეზიდენტი“ შეარქვა. ნოდარ დონაძემ კი, რომელიც ბატონი ამირანის სიყრმის მეგობარია, ამ სათაურით ლექსი მიუძღვნა ღვაწლმოსილ პიროვნებას („ალიონი“, 21 ნოემბერი, 2016 წელი.).

ბატონი ამირან მამულაიშვილის ცხოვრებას დიდი ტკივილიც ახლდა, ახალგაზრდა ასაკში დაეღუპა ერთგული მეუღლე და მეგობარი, ქალბატონი ლილი; სიკვდილმა შემდეგაც მრავალგზის დაამწუხრა: გარდაეცვალა ქალიშვილი — ცნობილი საზოგადოებრივი მუშაკი და ხელოვანი, ქალბატონი ნონა; რძალი, ერთადერთი ვაჟის მეუღლე, პროფესიონალი პედაგოგი, ქალბატონი თამილა; სიძე, უფროსი ქალიშვილის, ქალბატონი ნანას მეუღლე, ცნობილი სპორტსმენი სათხილამურო სპორტში, სპორტის დამსახურებული მუშაკი თამაზ მოსეშვილი. ყოველივე ამან იგი მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ მაინც იმედით ცხოვრობს თავისი საამაყო შვილებით ნანათი და სპარტაკით, ასევე შვილი-შვილებით.

როგორც აღვნიშნეთ, ზაფხულში 87 წლისა გახდება. სოფლის ჭარმაგი ჭირისუფალი ჩვეული გამჭრიახობით აქტიურ სადამრიგებლო მუშაობას ეწევა, არის სოფლის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ყოველთვის იყო ჭირისა და ლხინის უცვლელი თამადა. მისი სიტყვები დამაჯერებელი და იმედისმომცემია. იგი მუსიკალურობითა და პოეზიის სიყვარულითაც არის ცნობილი. გამოქვეყნებული აქვს პატარა კრებული „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

ლამაზი სანახავია ამ შეუდარებელი მეურნის ეზო-კარმიდამო, ვაზითა და სხვადასხვა ხეხილით დამშვენებული.

როცა თვალს ვავლებთ მის მიერ მართლაც ლამაზად განვლილ გზას, გვახსენდება დიდი ილიას სიტყვები, „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველდღე რომ შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“.

მართლაც, ღვაწლმოსილი ადამიანია ბატონი ამირანი, თავის სოფელსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ბაილეთისა და, შეიძლება ითქვას, ოზურგეთის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება.

დიდხანს სიცოცხლესა და კვლავ ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ მას!

**გაზეთი „ალიონი“.**

# ახალი სარეპეტიციო დარბაზი თეატრში



სანამ ჩვენი თეატრის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრაციული ნაწილი განთავსებულია ოზურგეთის ყოფილი მერიის შენობაში, მეორე სართულზე. ამ დღეებში თეატრმა ოზურგეთის მერიისაგან კიდევ ერთი საჩუქარი მიიღო - იმავე შენობაში, ყოფილი სხდომათა დარბაზის ფართი.

„–ეს ფართი ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენთვის –აღნიშნა თეატრის სამხტავრო ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვასო ჩიგოგიძემ,** –ახლა უკვე შესაძლებელია რეპეტიციების აქვე ჩატარება და სპექტაკლის საპრემიეროდ მომზადება.

დიდი მადლობა ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას, მერს, ბატონ კოტე შარაშენიძეს თანადგომისათვის, როგორც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში, ისე თეატრის დახმარებისათვის ზოგადად. *სწორედ ასეთი თანადგომისათვის ბატონ კოტე შარაშენიძეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიაკუთვნა ჯილდო და ტიტული – **2018 წლის საუკეთესო თეატრალური მერი.***

დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ოზურგეთის თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, რომლის დასრულებასაც მთელი გურია დიდი ინტერესით და სიხარულით ელოდება. “

ქალაქში სარეპეტიციო სივრცის გაჩენა აადვილებს სპექტაკლებზე მუშაობას მსახიობთათვის, მოხერხებული გრაფიკის შედგენას, ადრე სცენის რეპეტიციები გურიანთაში ტარდებოდა და ტრანსპორტირების პრობლემები იდგა.

თეატრის დირექტორის ბატონი ზაზა ჯინჭარაძის ინფორმაციით დარბაზი თეატრის ძალებით მოწესრიგდა:

**ზაზა ჯინჭარაძე:** „ - ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობითა და გურიანთელების მონდომებით თეატრს მშენებლობის პერიოდში აქვს ალტერნატიული, დროებითი ფართი - სპექტაკლებისათვის გურიანთის კულტურის სახლში და ადმინისტრაციისათვის - ქალაქის ცენტრში.

ეს დარბაზი მართლაც კარგი საჩუქარია, მოვაწესრიგეთ ჩვენი ძალებით. მალე პირველი რეპეტიციები გაიმართება.“

ოზურგეთის თეატრის შენობას სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება 2016 წლიდან ფონდის „ქართუ“ დაფინანსებით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეცენატობით. სავარაუდოდ, რეაბილიტაცია 2020 წლის დასაწყისისათვის დასრულდება.

**ლია კილაძე**

# ოზურგეთის ისტორიული აბანოები განახლებული იერ-სახით წარმოჩინდება



ოზურგეთის ისტორიული აბანოს კონსერვაციისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით განახორციელებს.

ოზურგეთის ცენტრში მდებარე არქიტექტურული ნაგებობის განახლებული იერსახით წარმოსაჩენად სარესტა-ვრაციო გეგმას სააგენტო უახლოეს თვეებში მოამზადებს, რომელიც ძირი-თად საპროექტო დოკუმენტაციასთან შეჯერდება. არსებული კონცეფციის მი-ხედვით, ისტორიული აბანოს რეაბილიტაციის გეგმა კონსერვაციასთან ერ-თად, მისი წყალმომარაგების სისტემის ნაწილობრივ აღდგენას და ღია საექსპოზიციო ფორმით ინფრასტრუქტურული ელე-მ-ენტებით გამრავალფეროვნ-ებას ითვა-ლ-ისწინებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მოეწყობა ლითონკ-ოსტრუქციის მოაჯირები, საფეხმავლო ხიდები და განათების თანამ-ედროვე სისტემები. ქალაქის ურბანულ ქსოვილს ჰარმონიულად შერწყმული არქიტექტურული ნაგებობა ტურისტუ-ლი სანახაობის დატვირთვასაც შე-იძენს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე **ჯუანშერ ბურჭულაძე** და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე** გურიის რეგიონში იმყოფებოდნენ. მათ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელებთან ერთად, ის ტერიტორიები მოინახულეს, სადაც აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს.

მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ფიზიკურ სამუშაოებს მიმდინარე წელს მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს. სარეაბილიტაციო პროცესის მოსამზადებელ ეტაპს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს. არსებული გეგმის მიხედვით, სარეაბილიტაციო პროცესი გაზაფხულზე დაიწყება და წლის ბოლომდე გასტანს. **აღნიშნული პროექტის ინიციატივა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატ არჩილ თალაკვაძეს ეკუთვნის.**

# ქართველი მწერალი, ნიაზ ბოლქვაძე ნობელის პრემიაზეა წარდგენილი



**ალიონი.** ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ფილოსოფოსისა და მწერლის, ნიაზ ბოლქვაძის წიგნის „აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ – განხილვა გაიმართა. წიგნი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი და მისი საჯარო განხილვები მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება.

ნაშრომი ოზურგეთელებს თავად ავტორმა წარუდგინა.

–„ამ წიგნზე მუშაობას ორი ათეული წელი მოვანდომე“– გვითხრა მან.

ნიაზ ბოლქვაძის თქმით, წიგნში გადმოცემულია რელიგიათა შორის დაპირისპირებები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გრძელდება. ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ რეალურად დაპირისპირებების არავითარი მიზეზი და საფუძველი არ არსებობს.

**ნიაზ ბოლქვაძე:** რატომ არის ჩემი წიგნი წარდგენილი ნობელის პრემიაზე? იქ უბრალოდ არ იღებენ ნაშრომებს. ნაშრომი უნდა ემსახურებოდეს დღევანდელს და მომავალს ანუ გათვილილი უნდა იყოს მომავალზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე. ნაშრომი ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიებს შორის ურთიერთობების დარეგულირებას, მშვიდობიანი გარემოს შექმნას და ყოველგავრ ფანატიზმს საფუძველშივე ანადგურებს– ეს მეცნიერ-სპეციალისტების შეფასებაა ჩემი წიგნისა.

შეხვედრის ბოლოს წიგნის ავტორმა დასმულ შეკითხვებს უპასუხა და მუზეუმს საჩუქრად აბესა, იოთამ და გიორგი ბოლქვაძეების საგანგებოდ შესრულებული ნახატები გადასცა.

„აზროვნების ეკოლოგია-კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნიაზ ბოლქვაძე არის პირველი ქართველი, ვინც, ნობელის პრემიაზე ჩვენს ქვეყანას წარადგენს.




## იყიდება

ქ. ოზურგეთში, ორსართულიანი კაპიტალური სახლი (საყრდენი კედლები ორმაგი ბლოკით აშენებული, ზომით 18X14), ორი ავტოფარეხით. ცალკეა კაპიტალური სამზადი. შენობის პირველ სართულზე და სამზადში არის ბუხრები.

შენობის ორთავე სართულზე დაგებულია მუხის პარკეტი, კედლები მოპირკეთებულია პანელით. სასტუმრო და საძინებლები –ევრორემონტით.

საკარმიდამო ნაკვეთში (1000 კვ.მ) გაშენებულია ხეხილი და არის სასათბურე მეურნეობა.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ბესიკის ქ.№1;

მობ. (599) 23 30 72.


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | |
|---|---|---|
| 4 თებერვალი | ორშაბათი | მზე, +5+12 |
| 5 თებერვალი | სამშაბათი | მზე, ღრუბელი +6+15 |
| 6 თებერვალი | ოთხშაბათი | მზე, ღრუბელი +7+15 |
| 7 თებერვალი | ხუთშაბათი | მზე, ღრუბელი +7+14 |
| 8 თებერვალი | პარასკევი | მზე, +7+11 |
| 9 თებერვალი | შაბათი | ღრუბელი +6+10 |
| 10 თებერვალი | კვირა | მზე +4+10 |